გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 109
2020 წლის 11 სექტემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 11 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

1. „გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს. ლიანა ჩლაჩიძე/

2. ,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

3.,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №4 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

4. "გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. ქორდში მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული ამბულატორიის (ს.კ. 66.50.07.396) და სოფ. ფლავში მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული ამბულატორიის (ს.კ 66.48.04.048) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

5. "ქალაქ გორში, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარედ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ.66.46.26.003.610; 468 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ" განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

6. "გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შპს „ენ დი ჯგუფი" - ს (ს/ნ 400168126) სასარგებლოდ სერვიტუტის დადგენასთან დაკავშირებით, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

7. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.10.015), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი:

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

8. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, ჭავჭავაძისა და სტალინის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელში (ს/კ 66.45.18.148) განთავსებული N3 კომერციული დანიშნულების ობიექტის, 4.35 კვ.მ უძრავი ქონების, პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

9. „ქალაქ გორში, სტალინის გამზირის და ქუთაისის ქუჩის გადაკვეთაზე (სტალინის გამზირზე N48-ე საცხოვრებელი ბინის მიმდებარედ) საგზაო ნიშნის განთავსების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.თამარ მურალოვა/

10. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების 2019 წლის სექტემბრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს. ლიანა ჩლაჩიძე/

11. „ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ 2020 წლის შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს. ზურაბ ყაჯრიშვილი/

12. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების 2019 წლის ოქტომბრიდან მიმდინარე პერიოდამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.თამარ მურალოვა/

13. „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების მიერ 2020 წლის წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმების დამტკიცების " განკარგულების პროექტი;

/მომხს. ლიანა ჩლაჩიძე//

14. „ქალაქ გორში, კირიონ II-ის ქუჩაზე და ლომოურის ქუჩის მონაკვეთზე (ეკლესიიდან მეორე საჯარო სკოლამდე) საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ" განკარგულების პროექტი;

/ მომხს.დავით რაზმაძე/

15. "ქალაქ გორში, ბარნოვის ქუჩა №10ა-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის შუაში და ბარნოვის ქუჩაზე, მტკვარზე გადასასვლელი ხიდიდან (ახალი ხიდი) დასავლეთით 45 მეტრ მანძილზე „ხელოვნური უსწორმასწორობების" განთავსების შესახებ"განკარგულების პროექტი;

/ მომხს.დავით რაზმაძე/

16. "ქალაქ გორში. გურამიშვილის ქუჩა №52-ის მიმდებარედ „ხელოვნური უსწორმასწორობის" განთავსების შესახებ"განკარგულების პროექტი;

/ მომხს.დავით რაზმაძე/

17. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.32.324), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი;

/ მომხს.დავით რაზმაძე/